წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. შაბათი სექტემბრის 2—(15) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ლინი . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 117 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 117

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას თან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

ბათომის კომიტეტი.

სავალდებულო დადგენილება.

ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ კომიტეტის 1917 წლის 17 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად, კუბიკურ საჟენ შეშაზე დადგენილია შემდეგი ნიხრი (ტარიფი ნიხრში არ შედის):

1) **ოთხათ გაჭრილი** — 12 ვერშოკიანი:
ა) **მაგარი** (მუხა, რცხილა, კოპიტი, წიფელა და თელა — 125 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა) — 100 მანეთი.
2) **ორათ გაჭრილი** 1 ნახ. არშინიანი.
ა) **მაგარი** — 100 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა) — 85 მანეთი.
3) **გაუჭრელი** (სამ არშინიანი):
ა) **მაგარი** — 100 მანეთი, ბ) **რბილი** (თხმელა) — 75 მანეთი

კომიტეტი მოუწოდებს ყველას, ვისაც აქვს გასასყიდლათ დამზადებული შეშა, ამ სავალდებულო დადგენილების გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინონ კომიტეტს ცნობები, თუ ვის რამდენი საჟენი შეშა აქვს და ჩააბარონ ის კომიტეტს.

იმ პირებს. რომლებიც დანიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ ცნობებს, შეშა ჩამოერთმევათ და გარდა ამისა ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული თანახმათ მომრიგებელ მოსამართლის წესდების 29 მუხლისა.

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 31 და ენკენისთვის 1, 2 და 3 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი:

თავისუფლების სიმღერა

მხატვრული დრამა 5 ნაწილათ ვ. გ. ორლოვისა და ვ. გ. გაიდაროვის მონაწ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 31 და ენკენისთვის 1, 2 და 3 ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა

კმარა სისხლი!

5 ნაწილათ ო. ი. გზოვსაიას, ვ. გაიდაროვისა და ნ. პანოვის მონაწილეობით.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ტიტე მარგველაშვილის წიგნი

ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით,
ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოის საყოველთაო მოსამზადებელი

კურსები,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.
მისამართი: ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან —8 საათამდის საღამოს.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია სანის საკეთებელი **სოდა** და მისი ყოველივე მასალები. ფასები ზომიერია.

იყიდება წულის გასათბობიანი ცინკის

ვანა

იკითხეთ გენერლის ქუჩ. ფეიქაროვის სახლი

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

არ შევცდეთ.

ჩვენში ძლიერ ბევრსა ვლაპარაკობთ და ვსწერთ მეურნეობის საჭიროებაზე ამ საგანზე სხვადასხვა კრებების დროს სიტყვებიც მშვენიერი წარმოითქმის ხოლმე და გაზეთის ფურცლებზედაც დასაბუთებულ წერილებს შეხვდებით. სჩანს ყველას გვჯერა, რომ მეურნეობა საჭიროა და მისი აღორძინება ჩვენი ეკონომიური განვითარებისთვის აუცილებელია. სჩანს, ყველა ამ აზრის მომხრეა და საწინააღმდეგოს არც არავინ ფიქრობს, არც არავინ ამტკიცებს. სამწუხაროთ ეს ასე არ ყოფილა. სიტყვით სულ სხვაა და საქმით სულ სხვასა ვხედავთ. კარგათ ვიცით, რომ მეურნეობის ასაღორძინებლათ ერთი აუცილებელი საშუალება სამეურნეო სასწავლებლების დაარსება და მათი კარგათ მოწყობაა. ჩვენდა საუბედუროთ, არა თუ მთელ საქართველოში, მთელ კავკასიაში ერთი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი არ არის; სამწუხაროთ, საშუალო და დაბალი სასწავლებელიც ისე ცოტაა, და მათში სწავლა მიღებულ ქართველთა რიცხვიც ისე უმნიშვნელოა, რომ ჩვენში მეურნეობა ისევ პატრიარქიულ ანუ პირველყოფილ განვითარების საფეხურზეა; ამას ცხადათ ვხედავთ და ეს ნაკლულევანება საკმაოთ შეგნებული უნდა გვქონდეს. ჩვენში სწავლა განათლების სურვილი დიდია. ჩვენი ხალხის ღირსებათ უნდა ჩაითვალოს, რომ სწავლა განათლებისკენ ყველა მისწრაფის, აქ არც წოდებრივ, არც ქონებრივ განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს. მაღალს და დაბალს, მდიდარს და ღარიბს სწავლა ყველას სწყურია და სწავლის მისაღებათ თავს არ იზოგავს, მაგრამ მისი გაგება თუ როგორი სწავლა უფრო საჭიროა, და მისი გამორჩევა, თუ როგორი დარგის სასწავლებლის დაარსება სჯობს, უმეტესობას არ ესმის. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ჩვენში ისე წელიწადი არ გავა, რომ ერთიერთმანეზე საშუალო რიცხვით ათი სასწავლებელი არ დაარსდეს, მაგრამ ათში სამეურნეო არც ერთი არ არის. გიმნაზიისა და პრაგიმნაზიის დაარსებას ხშირათ თხოულობენ, ამ გვარი შუამდგომლობა დაბისა თუ მაზრის საზოგადოებისგან ხშირათ ისმის, ხოლო სამეურნეო სასწავლებლის შესახებ თითქმის არა ისმის რა. შარშან ზესტაფონის საზოგადოებამ გამოსთქვა სურვილი სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა და ეს ამბავი ძლიერ სასიამოვნოთ მოხვდა ფართო საზოგადოებას. ზესტაფონის საზოგადოების განზრახვა მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ საერთო შეხედულობით ზესტაფონის მიდამო დასავლეთ საქართველოში პირველი ადგილია სამეურნეო სასწავლებლისთვის. რადგან ყოველგვარი ღირსებით შემკულია და თანაც რკინის გზის მთავარი ლიანდაგის საშუალებით მეტათ დასამხრისიც არის. ზესტაფონელთა განზრახვა ყოველ მხრივ მოსაწონი იყო, მას დიდი ნიადაგი ქონდა ჩვენ საზოგადოებაში და ამიტომ მისი განხორციელება ფართო გეგმითაც შესაძლებელი იყო. სწორეთ ამ კილოთი გამოეხმაურა ზესტაფონელთა აზრს ჩვენი პრესაც. ამ გადწყვეტილებას რევოლუციამ მოუსწრო.

ეს გარემოება კიდევ უფრო საიმედოდ ხდიდა სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას, რადგან რევოლუციამ ცხად ჰყო ჩვენი მეურნეობის სიღატაკე და აშკარათ დაგვანახვა სასურსათო საქმის უმწეო მდგომარეობა.

თუ ოდესმე კაცი მეურნეობაზე იზრუნებდა, სწორეთ ახლა უნდა ეზრუნა. თუ ოდესმე ადამიანი მეურნეობის უპირატესობას ცხადათ დაინახავდა ახლა უნდა დაენახა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ზესტაფონელთა სამართლიანი და აზრიანი განზრახვა სწორედ ახლა, ამ საერთო აღტაცების და სურსათზე დანატრულებულ ხანაში უფრო ჩქარა განხორციელდებოდა და სასურველათ დაგვირგვინდებოდა.

მაგრამ რა მოხდა?

უეცრათ ეს დიდებული აზრი გაუჩერებიათ და გიმნაზიის გახსნა გადაუწყვეტიათ. ან ამბავმა გაგვაკვირვა. რით დაიწყეს და რით გაათავეს? რას ამბობდენ და რა გადაწყვიტეს? აქ რაღაც გაუგებრობაა.

გიმნაზიის დაარსებას კი არა უბრალო შკოლის დაარსებასაც ჩვენ აღტაცებით ვეგებებით და რა მტკიცებაა საჭირო, რომ ზესტაფონისთვის გიმნაზიაც სასურველია და საჭირო, მაგრამ წელს გიმნაზიის დაარსებით შარშან დაწყებული სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმის შეფერხება — **მიუტევებელი შეცდომაა.** ჩვენ ყოველი ტიპის სასწავლებელი გვჭირდება, გიმნაზიებიც გვინდა და ზედმეტი არ იქნება, თუ ზესტაფონში კი არა ყოველ სოფლის საზოგადოებაშიც გაიხსნება, მაგრამ სამეურნეო სასწავლებლის მაგიერობას ვერც ერთი ვერ გასწევს. ჩვენ ყოველნაირი სასწავლებელი გამოგვადგება და ყველას დაარსებას მივესალმებით, მაგრამა სამეურნეო განათლებას სხვა დარგზე მაღლა ვაყენებთ და ამიტომ ზესტაფონელთა ნაბიჯი შეცდომათ მიგვაჩნია. ამ შეცდომის გასწორება აუცილებელია და დღეს ეს ასე უნდა გასწორდეს. გიმნაზია თვით ქალაქ ზესტაფონმა შეინახოს და ფართო შეწირულება და მთელი ქართველი ერის დახმარება სამეურნეო სასწავლებელს მიუჩინოს. თუ გიმნაზიის დაარსებამ სამეურნეო სასწავლებლის საკითხი დაასამარა, ეს ფრიად სამწუხარო მოვლენა იქნება და ამიტომ ამ საქმის გადაწყვეტა ახლავე საჭიროა. იყოს გიმნაზია, მხოლოდ შევინახოთ ისე, როგორც ინახება არა ერთი და ორი კერძო სასწავლებელი ჩვენში; ფართო შემოწირულება კი კარგი შემუშავებული გეგმით ახლავე სამეურნეო სასწავლებლის სასარგებლოთ ვაწარმოოთ. საქმის ვადადება შეუძლებელია.

არ შევცდეთ, საქმე არ გადავდვათ!

ტრიფონ ჯაფარიძე.

საქონლის ჭირი.

აპრილის თვიდან დასავლეთ საქართველოში მძინვარებს საქონლის ჭირი ეს სენი „მოძრავ საგნათ“ იქცა, ხან ქვემო იმერეთში ავლებს საქონელს მუსრს, ხან ზემო-იმერეთში და ლეჩხუმ-სვანეთში.

ამ ხანათ ის მთელ სამეგრელოს მოსდებია. ზუგდიდის აღმასრულებელი კომიტეტი ქუთ. გუბერნიის კომისარს აუწყებდა, თუ რა საშინელი მდგომარეობაში ჩააყენა საქონლის ჭირმა ხალხი. ზუგდიდის მაზრაში, მთებში არის მცხოვრებთა ერთი ნაწილი, რომლის მასაზრდოებელ წყაროს-მეცხვარეობა-მეჯოგეობა შეადგენს ჭირი მოსდებია მათ საქონელს და შეუბრალებლათ სწყვეტს. ხალხი საგონებელშია ჩავარდნილი, რადგან ვერავითარ საწინააღმდეგო ზომას ვერ იღებს. აღმ. კომიტეტი გუბერნიის კომისარს სთხოვს, რომ მიაშველონ საჩქაროთ ბეითალი და წამალი. ასეთივე ამბავი მოგვდის, სოფ. ჰალადიდიდან.

ზარალი ხსენებულმა ჭირმა ხალხს მეტად დიდი მიაყენა, ქვემო იმერეთში ზოგადი ანგარიშით ზარალი 30,000 მანეთს აღწევს.

უბედურება ის არის, რომ ხალხი სამუშაო საქონელს ვერ იმეტებს დასაკლავათ ან გასაყიდათ, ხოლო ამ დროს საზარელი სენი სტაცებს.

თუ წარმოვიდგენთ სოფლის წინდელ კრიტიკულ ყოფას, აშკარა გახდება, რომ საქონლის ჭირი დიდ უბედურებას გვიქადის. სიმშილი კარს არის მომდგარი, სოფელი უმუშა ხელოთ არის მიტოვებული და ასეთ დროს, თავი რომ დავანებოთ სხვა საქონელს, ხალხს ეხოცება უღელში გასაბამი მუშა საქონელი. საფრთხე მოელის ქალაქის მცხოვრებთაც, რადგან ხშირათ ხდება, რომ ჭირიან საქონელს ქალაქებში ჰკლავენ და ხორცს ასაღებენ. განსაცდელი საერთოა.

გვმართებს სასწრაფოთ ამოძრავება და გამოსავალ გზის გამონახვა. ერთად ერთი ხსნა ხალხისთვის არის ბეითლების და წამლის მიცემა. სამწუხაროთ საქართველოში ბეითალი ცოტაა. ჩვენ გვჭირია, სათანადო შუამდგომლობით მივმართოთ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ გადასდოს განსაკუთრებული საერობო თანხა*) და კომიტეტისვე დახმარებით გამოიგზავნოს დასავლეთ საქართველოს საჭიროებისთვის ექიმ-ბეითლები.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა. მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, თორემ მერე ჭირი თავისას იზამს და ღონისძიებათა მიღება უნაყოფო იქნება.

დ.

კორნილოვის ამბოხება,

პ. დ. ს.

დეპეშები.

კერენსკის მთავარ-სარდლობა

ბრძანება დროებითი მთავრობისა სენატისადმი

მინისტრ-თავმჯდომარეს ალექსანდრე თეოდორეს ძე კერენსკის მიენდო უმაღლესი მთავარ-სარდლობა სახელმწიფოს ყველა შეიარაღებული ძალებისა.

ხელი მოაწერა მინისტრ-თავმჯდომარის მაგიერ **ნ. ნეკრასოვმა.**

---

*) ამას წინათ გადადებული 15,000 მან. საკმაო არ არის.

დროებით მთავრობასთან მყოფი ინფანტერიის გენერალი მიხეილ ალექსეევი ინიშნება მთავარ სარდლის შტაბის უფროსად.

ხელი მოაწერა მინისტრ-თავმჯდომარემ **ა. კერენსკიმ.**

ა. თ. კერენსკის ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი

1917 წელს ავგისტოს 30

№ 47.

დღეიდან დროებით მთავრობის დადგენილების თანახმად მე დავალებული მაქვს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლობა.

ყოფილ მთავარსარდლისა და გენერალთა მცირე ჯგუფის უქუღ ცდა სამხედრო ამბოხების მოსახდენად - მარცხით დასრულდა და დამნაშავე მეამბოხენი კი სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოს გადაეცნენ. ამბოხების უსისხლოდ ჩაქრობამ რუსის ერისა და მის ლაშქარ ფლოტის გონიერება დამტკიცა: ოფიცრების, ჯარისკაცების და მატროსების მეოხებით, რომელნიც მრისხანე მტრის პირისპირ მდგომნიც კი არ ივიწყებენ სამშობლოს წინაშე მოვალეობას და დროებით მთავრობას ემორჩილებიან. მე ვიღებ სრულიად რუსეთის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს სარდლობას და სრულს ნდობას უცხადებ ლაშქრისა და ფლოტის ყველა წევრებს: გენერლებს, ამირბარებს, ჯარისკაცებს, მეზღვაურების რომელთაც ამ უკანასკნელ დღეების სიმწარენი განიცადეს. ნახევარ წლის თავისუფლად ცხოვრებამ ყველა დაარწმუნა, რომ ყოველივე უქუღო მოთხოვნილებათა აღსრულება მხოლოდ სახელმწიფოს არღვევს.

თავ. ვ. ნ. ლვოვი

კორნილოვის შეთქმულობის მონაწილე ვ. ნ. ლვოვი სახელმწიფო საბჭოს ერთ გავლენიან პირთაგანია, პირველ და მეორე დროებით მთავრობაში მას უწმინდეს სინოდის ობერ პროკურორის თანამდებობა ეჭირა და მხოლოდ ამ ერთი თვის წინ დაანება თავი თანამდებობას. ვ. ნ. ლვოვს უმაღლესი განათლება (ისტორიულ-ფილოლოგიური) აქვს მიღებული. დაიბადა 1872 წელს პირველად სახელმწიფო სათათბიროს წევრად 1907 წელს აირჩიეს. პირველად ოქტომბრისტების ფრაქციას მიეკედლა, შემდეგ ნაციონალისტებს და მე 4-ე სახელმწიფო სათათბიროში კი კრუპენსკისთან ერთად ცენტრის პარტია შეადგინა, რომელსაც თვითვე თავმჯდომარეობდა. კოალიციურ სამინისტროში კი შემარცხენე სოციალისტ მინისტრებს აძლევდა ხმას. კადეტებმა მოითხოვეს სამინისტროდან მისი დათხოვნა და კერენსკიმაც დაითხოვა.

გზათა მინისტრის ამხანაგის გადაყენება

პეტროგრადი. ავგისტოს 29. დროებით მთავრობის მმართველ სენატისადმი ბრძანებით თანამდებობიდან გადაყენებულია და სასამართლოში მიცემულია გზათა მინისტრის ამხანაგი, გენერალ ლეიტენანტი ვლადიმერ კისლიაკოვი.

მინისტრ-თავმჯდომარე **კერენსკი.**

გზ. სამინისტრ. გამგე **ლივეროვსკი.**

უკრაინის საბჭოს დადგენილება

კიევი. ავგისტოს 28. ამბები კონტრ-რევოლუციურ შეთქმულების შესახებ მთელ ქალაქს მოედო. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განუწყვეტელი სხდომა აქვს. ჯარისა და ემიგრანტთა წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ჯარი და მეციხოვნენი მზად არიან პირველ მოწოდებაზევე მონაწილეობა მიიღონ რევოლუციისა და დროებით მთავრობის ძალის განსამტკიცებლად აქტიურ გამოსვლებში. მთავარ სეკრეტარიატმა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს მოწოდებანი დაუგზავნა. სეკრეტარიატი ატყობინებს: მზად იყავით კონტრ-რევოლუციურ გამოსვლათა საწინააღმდეგოდ და ყოველივე ცნობა მის შესახებ სწრაფად აცნობეთ დროებით მთავრობასა და ცენტრალ რადას.

ტამბოვის კომიტეტი

ტამბოვი. ავგისტოს 28. შესდგა რევოლუციის მხსნელი კომიტეტი აიკრძალა მიტინგები. ქალაქში სიწყნარეა.

ხარკოვის საბჭოს მოწოდება.

ხარკოვი. ავგისტოს 28. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა მოწოდება გამოსცა. „კორნილოვის გამოსვლას ღირსეული მოწინააღმდეგენი შეხვდებიან. მთავრობა კონტრ რევოლუციას ებრძვის და ამ ბრძოლაში მას მომხრედ დემოკრატია გაუხდება“. წესრიგისა და სიწყნარის დასაცავად რევოლუციურ შტაბი შესდგა.

დონის ყაზახთა პოლკი.

პეტროგრადი. ავგისტოს 29. დონის ყაზახთა მე-4 პოლკი სრულ ნდობას უცხადებს დროებით მთავრობას და ჰპირდება, კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად მხარს დაგიჭერთო.

კრონშტადტის გარნიზონი.

პეტროგრადი. ავგისტოს 28 კრონშტადტის დეპუტატთა საბჭო აცხადებს, კრონშტადტის მეციხოვნენი ცენტრალ კომიტეტის პირველ მოწოდებისთანავე დარაჯად დაუდგებიან რევოლუციას და მთელ სამხედრო ძალას კომიტეტის განკარგულებას გადასცემსო.

დამკვრელი ბატალიონები.

პეტროგრადი. ავგისტოს 30. კომიტეტების სამხედრო განყოფილება აცხადებს, დამკვრელი ბატალიონები კონტრ-რევოლუციონერთა წინააღმდეგ უნდა ამხედრდნენო. განყოფილება მოუწოდებს: აასრულეთ მხოლოდ დროებით მთავრობის ბრძანება, რადგან მხოლოდ იგი მოქმედობს დემოკრატიასთან ერთადო.

კორნილოვის დამარცხება.

პეტროგრადი. ავგისტოს 30. კორნილოვის შეთქმულების დასამარცხებლად შემდგარ კომიტეტის კერძო თათბირზე ერთმა წევრმა განაცხადა, სულყველაფერი დასრულდა, რევოლუციურ პოლკებს შორის კავშირია აღდგენილიო. კორნილოვის ძალას შეადგენენ: 80 ტეკინელები, დამკვრელი პოლკი და ცხენოსანთა ბატალიონი. შეტაკება არ მოგვიხდება. ყაზახებმა განაცხადეს, მთავრობას წინ არ აღუდგებითო. კრონშტადტის ფლოტი მხარს გვიჭერს. ფინლიანდიიდან და კრონშტადტიდან პეტროგრადს ჯარი ჩამოვიდა. პეტროგრადის გარშემო მავთულების ხლართსა და ბარიკადებს აკეთებენო.

ვოიტინსკიმ რიგის გარეშე განაცხადა, ლაშქრისთვის ერთი საზიზღარ სახელთაგანი — კორნილოვის სახელიაო. ვოიტინსკი ამტკიცებდა, კორნილოვი გერმანელების შტაბის ინტერესებს ასრულებდაო.

ყაზახთა დელეგაცია კორნილოვთან.

პეტროგრადი. ავგისტოს 29. მინისტრ თავმჯდომარემ ყაზახთა კავშირის კორნილოვის სანახავად დელეგაციის გაგზავნის ნება არ მისცა. ამის გამო სამხედრო სამინისტროს გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, სწორედ იმ დროს, როდესაც დელეგაცია მოვიდა, დროებით მთავრობას კორნილოვის მოწოდება ჩაუვარდა ხელში, რამაც გამოარკვია, რომ კორნილოვის და მის თანამოაზრეთ ამბოხება მოეხდინათ. ამის გამო რა თქმა უნდა დელეგაციასთან მოლაპარაკება მეტი იქნებოდა.

გზათა მინისტრის მოწოდება.

კავკასიის მხედრობის საოლქო საბჭომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან: გზათა მინისტრმა მოწოდებით მიმართა რკინის გზების უფროსებს გაფაციცებით თვალყური ადევნონ რათა მოსკოვისაკენ ეშელონებმა არ გაიარონ რჟევოდან, ვიაზმიდან და ბრიანსკიდან. თუ ძალად დააპირებენ გავლას მოსკოვისაკენ, მიღებულ იქმნას უკიდურესი ღონისძიებანი და სხვა საშუალებათა შორის რკინის გზის ლიანდაგიც აჰყარეთ. საოლქო მხედრობის უფროსმა სამხედრო წესები გამოაცხადა მთელ მოსკოვის ოლქში, სასტიკად აკრძალულია მიტინგები, „პოგრომები“ და თვითგასამართლება. მეორე ბრძანებით მოსკოვში წესდება სამხედრო ცენზურა. კორნილოვის წინადადებაზე — ჩემს ბრძანებას დაემორჩილენითო, ვერხოვსკიმ პასუხად შეუთვალა მას: მიწის ზარმა ამიტანა, როცა თქვენი ბრძანება წავიკითხე, რომ კანონიერი მთავრობას არ დავემორჩილო; სამოქალაქო ომი თქვენ დაიწყეთ; ეს რუსეთის დაღუპვა; არ შემიძლიან ფიცის გატეხა, ფიცი ძველი ხელთათმანები ხომ არ არისო.

მე 5 არმიის განცხადება.

პეტროგრადი. ავგისტოს 28. მე 5 არმიისგან კერენსკის მოუვიდა ტელეგრამა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მე 5 არმია ერთხმათ ემხრობა დროებით მთავრობას, სთვლის ღალატად ყველა იმათ გამოსვლას, რომლებიც ცდილობენ ხელთ იგდონ სახელმწიფო ხელისუფლება, ეს იგივეა, რაც ფრონტის გაღებაო, და მოითხოვენ სასტიკ სასჯელს ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ სახელმწიფო ცვლილება.

სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე.

პეტროგრადი. ავგისტოს 28. ინჟინერი პალჩინსკი დაინიშნა თანაშემწედ პეტროგრადის გენერალ-გუბერნატორისა.

კალედინის აგიტაცია.

გენერალი კალედინი დონის ოლქში კორნილოვის სასარგებლოდ თურმე აგიტაციასა სწევს. „რუსეთის დახსნის ნახიჩევანის კომიტეტმა ამის გამო მთავრობას კალედინის საჩქაროდ დაპატიმრება სთხოვა.

კორნილოვის ჯარი მოგილიოვში.

მინსკი. ავგისტოს 31. ორშაში მოსულნი იტყობინებიან: 29 ავგისტოს კორნილოვმა მოგილიოვში საალყო წესები დაამყარა. მისმა ერთგულმა ჯარმა მოგილიოვის ხაზები დაიკავა. მოგილიოვში დროებით მთავრობის მომხრეებს ატუსაღებდენ. ასრულებდენ მხოლოდ კორნილოვის ბრძანებას. უახლოეს გზათა კვანძებზე გააგზავნეს საგანგებო უფლებებით აღჭურვილი კომისრები.

სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება.

პეტროგრადი ავგისტოს 30. ჯარისა და ფლოტის ყველა მაჰმადიან მეომრებს: უმაღლესმა მთავარსარდალმა კორნილოვმა კონტრ-რევოლუციის დაწყების მიზნით ჯარი აამხედრა უფლებით აღჭურვილ დროებით მთავრობის წინააღმდეგ. დღეს საფრთხეშია ჩავარდნილი ყოველივე, რაც კი რევოლუციით მოვიპოვეთ. დროებითმა მთავრობამ გენერალი კორნილოვი მთავარსარდლობიდან გამორიცხა და სამართალში მისცა. დროებით მთავრობის მხარეზეა რევოლუციური ჯარი და ფლოტი. მოვუწოდებთ ყველა მაჰმადიან მეომრებს, აასრულონ მხოლოდ ახალი უმაღლესი მთავარსარდლის, მინისტრ თავმჯდომარე კერენსკისა და მის კანონიერად რწმუნებულ ორგანოების ბრძანება. ხოლო კორნილოვის ჯარსა და მომხრეებს უნდა ვაუწიოთ წინააღმდეგობა. არ აასრულოთ კორნილოვის ბრძანებანი!

რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ფრეილინა ხიტროვოს განთავისუფლება.

მოსკოვი. ავგისტოს 28. გამომძიებლებმა გაანთავისუფლეს დაპატიმრებული ყოფილი ფრეილინა ხიტროვო.

ლიტანია საეკლესიო კრებისა

მოსკოვი. ავგისტოს 28. საეკლესიო კრების მონაწილეებმა მთელი შემადგენლობით გამართეს ლიტანია ტროიცკო-სერგიევის ლავრისკენ.

მუშათა მილიცია

პეტროგრადი. ავგისტოს 28. ხალხის დამცველ კომიტეტმა დაადგინა შეადგინოს მუშათა მილიცია' რომელმაც უნდა დაიცვას მუშათა უბნები და ქარხნები პეტროგრადში.

სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკი

მოსკოვში სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკის დასაარსებლად საზოგადო ბანკების თავმჯდომარეთა თათბირი მოხდა. მონაწილეობდნენ: იაროსლავის, ყაზანის, ასტრახანის, ტამბოვის, კასტრომის, ხარკოვის, სარატოვის და სხვა ქალაქების ბანკების დირექტორები. მოსკოვიდან დაესწრო სახალხო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე მ. მ. ავსარქისოვი: თავმჯდომარეობდა სარატოვის საქალაქო ბანკის დირექტორი პ. ი. შილორეკი.

შეიმუშავეს სრულიად რუსეთის ბანკის ძირითადი დებულებები.

ღვინობისთვის დამლევს მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკების ყრილობა.

მომავალ სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკის მიზანი — საზოგადო თვითმართველობათა სესხის მიცემაა. ძირითად თანხად — 10 მილიონი მანეთი აქვთ.

მოსკოვის სტუდენტების დადგენილება

მოსკოვის სტუდენტების საერთო ყრილობამ დაადგინა მომავალ სამოსწავლო წელს მეცადინეობა შესწყდეს.

ოდესის ქალაქის საქმე

პირველ სადღესასწაულო სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარედ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი **ლორთქიფანიძე** (სოც. რევ.) აირჩიეს ქალაქის თავად.

პურის ფასის ერთი-ორად აწევა

პეტროგრადი. ავგისტოს 26. დროებით მთავრობისაგან: სასურსათო საქმე მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია. ქალაქები, მთელი გუბერნიები და თითქმის ფრონტიც სიმშილს განიცდიან, თუმცა რუსეთში პური საკმაო არი. კანონით დამტკიცებული იყო, რომ მეტი პური სახელმწიფო მოხელეთათვის გადაეცათ, მაგრამ ამას არ ასრულებენ. ზოგი შარშანდელ მოსავლიდან დარჩენილ პურსაც არ იძლევა. ზოგიერთი ხომ სხვასაც უშლის პურის გაღებას. საფრთხე კიდევ უფრო ძლიერდება, რომ რამდენიმე გუბერნიებში პურის შეტანა მხოლოდ წყლით შეიძლება და თუ მალე არ შეიზიდა პური ხსენებულ გუბერნიებში. საზამთროდ ხსენებულ გუბერნიებს სიმშილი უქადით. სიმშილთან ერთად კი თავს წამოყოფს ანარქია. მთავრობამ გადასწყვიტა როგორმე თავიდან აიცილოს ხსენებული საფრთხე სიმშილის და გადაწყვიტა ზომები მიიღოს რომ ყველას შეაგნებინოს თუ რა საფრთხეს ამზადებენ თავიანთი გაუგონრობით, პურის გადამალვით. ამასთან სიმართლე მოითხოვს პურზე დიდ ფასების დამტკიცებას, რომ არავითარი საბაბი არ ჰქონდეთ პურის გადამალვისა. მთავრობამ გადასწყვიტა პურის ფასის ერთი-ორად აწევა, ამასთან ერთად მთავრობა აცხადებს, რომ ეს საბაბად არ მიიღონ დანარჩენ მცხოვრებლებმა და შემოსავლის გადიდება არ მოითხოვონ. მთავრობა ზომებს მიიღებს. რომ პურის მწარმოებლებმა თავის დროზე აასრულონ თავიანთი მოვალეობა, რათა სიმშილი არ ჩამოვარდეს.

უცხოეთი.

დეპეშები.

შვედეთი და ომი.

ლონდონი. ავგისტოს 28. რადგანაც გერმანეთს არ შეეძლო მიწერ-მოწერა ჰქონოდა უცხო სახელმწიფოებთან, გარდა მოსაზღვრე სახელმწიფოებისა, მან ეს საქმე დააკისრა შვედეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. გერმანეთის ელჩები სხვა სახელმწიფოებში ყველაფერს საქმეს ჯერ სტოკჰოლმში ატყობინებდნენ შვედეთის სამინისტროს, ხოლო ეს უკანასკნელი აწვდიდა ცნობებს ბერლინში. ფიქრობენ, რომ შვედეთის მთავრობას მიეცემა საშუალება განმარტოს ეს ამბავი აღრე, ვიდრე შეერთებული შტატები გადასდგამდენ შემდეგ ნაბიჯებს. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანეთის წარმომადგენელი არგენტინაში გაძევებული იქნება და ამ სახით ბოლო მოეღება კავშირს გერმანიასა და არგენტინას შორის.

ბერნანდ შოუს აზრი სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

ფაბიანის საზოგადოების საზაფხულო კურსებზე ბერნანდ შოუს სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ უთქვამს: მე სკეპტიკურად უყურებ სტოკჰოლმისკენ გამგზავრებას და არც ვიცი თუ რისათვის უნდა წავიდეთ. სოციალისტური კონფერენცია ომს სისულელედ სთვლის. მას ჩხუბის გადასაწყვეტად მიღებულ ბარბაროსულ მეთოდს უწოდებენ, მაგრამ აქ იწყობა კომედია. ზოგიერთ სოციალისტებს ჰგონიათ, რომ საზავო პირობების შემუშავებაში დიდ როლს ითამაშებენ, მაგრამ მალე დარწმუნდებიან, რომ სცდებიან. ის აზრი, ვითომც, რომელიმე ჯგუფს სოციალისტებისას, მაგალითად სოციალისტ პაციფისტებისას, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მის შეხედულებათ და თეორიებს ანგარიში გაუწიონ, მტკნარ სიცრუედ უნდა ჩაითვალოს. ვინ მოუგდებთ მათ ყურს? ფრანკ-პრუსიელთა ომი გერმანიის გამარჯვებით დასრულდა. გერმანეთმა ხელთ იგდო რაც კი მოახელა. საფრანგეთმა დაჰკარგა ელზას ლოთარინგია და დიდი კონტრიბუციაც გადაიხადა ამ ანექსიას წინ აღუდგნენ გერმანელი სოციალისტები, მაგრამ მათ ციხეში ამოაყოფინეს თავი. [illegible] ომის გათავება არ შეიძლება. რაკი ჩავებით ბოლოც უნდა გავიტანოთ. მერე ღირს ამის სათქმელად სტოკჰოლმში გერმანელების ნახვა?

იაპონიის ჯარის მობილიზაცია.

ივლისის 31. თარიღით, სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის ოფიციოზში დაბეჭდილია ტელეგრამა ნიუ-იორკიდამ, რომ ამ დღეებში მოელიან იაპონურ ჯარების მობილიზაციას გამოწვეულია რუსეთის დასახმარებლათ, სხვა არავითარი განმარტებას გაზეთი არ იძლევა.

გერმანელთა მამულიშვილური პარტია.

სტოკჰოლმი. ავგისტოს 28. გაზეთების ცნობით, კენიგსბერგში შესდგა ახალი მამულიშვილური პარტია. პარტია მოითხოვს ბელგეთის და კურლიანდიის გერმანეთთან შეერთებას და ლონგვისა და ბრიეს რაიონებს. საპატიო წევრად ჰერცოგ [illegible], პირველ თავმჯდომარედ — ამირბარი ტირპიცი.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ლატიშთა ბატალიონების სიმარჯვე.

პეტროგრადი. ავგისტოს 31. ბანაკის ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. რიგის მიმართულებით ჩვენი მოწინავე ჯარი ბრძოლით განაგრძობს წინსვლას. ასევე წინ მიდის ზღვის სანაპიროებზე სოფელ კულისთან. პსკოვის შარაგზის სამხრეთით ლატიშთა ლეგიონებმა მედგარი ბრძოლის შემდეგ აიღეს სოფელი პოლნე. წამოასხეს ტყვეები და დიდი ნადავლიც წამოიღეს. ამას შემდეგ ლატიშებმა წინ წაიწიეს სამხრეთით რევცოის მიმართულებით. ჩვენმა მოწინავე ჯარმა დაიკავა გორიცებერგენ-ვაკე-დეზურმულ შზერსუეიმიზა-ალკვეიზი-მილოიეს იიკალასის ხაზი. ასპარეზის სხვა ნაწილებში სროლაა.

მფრინავთა მოქმედება.

კამენეც-პოდოლსკის ჩრდილო-დასავლეთით ტურიდიჩეს რაიონში მტრის ყუმბარამ იმსხვერპლა ჩვენი საჰაერო მზვერავი პორუჩიკი ბელიაევი. მძიმედ დაიჭრა მფრინავი პრაპორშიკი კრიუჩკოვი. ჭრილობის მიუხედავათ მამაცმა მფრინავმა კრიუჩკოვმა საფრენი მანქანა უშიშარ ადგილამდი მიიყვანა და მტრის მთელი ბანაკის გეგმა მოიტანა. უსიატინა-სკანიას რაიონში საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა მფრინავებმა მტრის ორი საფრენი აიძულეს დაშვებულიყო. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს მტრის ბანაკის ზოგიერთ ადგილას.

ბარანოვიჩის სამხრეთით დაბა კროვოშინს ხუთი ფუთი ყუმბარა ესროლეს, ხოლო კოველის რაიონში რვა ფუთი. მტრის მფრინავებმა ბარანოვიჩის მიმართულებით და სადგურ რაძივილოვ-კრივესცეზე ჩვენს ჯარს ზურგს უკან დაუწყეს სროლა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. ავგისტოს 29. ოფიციალი მთელი ასპარეზის სიგრძე-სიგანით არტილერიის სროლაა. გრადას დასავლეთით მტერმა არტილერიის ძლიერი ცეცხლით იერიში მოიტანა ჩვენს ბანაკზე კონ-დოზ-ლადროს ველებზე და ერთი მათგანი დაიკავა კიდეც, მაგრამ მაშინვე გარეკეს იქიდან. ტიმავოს ველზე მტერს ქვეითა ჯარის დახმარებით იერიში მოჰქონდა ჩვენი პოზიციის მარცხენა წვერზე, მაგრამ ისინი შევაჩერეთ და უკუვაქციეთ. ალბანიაში თანაბარი ძალების ბრძოლაა. ჩვენმა ჯარმა დევოლის და ცვისას შერტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის სანგრები დაიკავა და ტყვეებიც წამოასხა.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. ავგისტოს 30. ოფიციალი დღის ცნობა. ღამით ჩვენი ჯარი რეიმსის აღმოსავლეთით ლერუანერის ფერმის მიმართულებით და მეზონისა და შამპანის რაიონში მოულოდნელად დაეცა მტრის ხაზს. წამოვიღეთ ნადავლი და ტყვეებიც წამოვასხით. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა ღამით კონტრიერიშები დაიწყეს გუშინ ჩვენ მიერ აღებულ ადგილებზე დეფორს-კორიერის ტყის უბანში, მაგრამ ჩვენის ცეცხლით მოვიგერიეთ. მტერს ბევრი დავაკლეთ. ზოგიერთ ადგილს გაფიცხებული ბრძოლა იყო ჩვენმა ჯარმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მტრისას, ყველა თავისი პოზიცია შეინარჩუნა და ტყვეები წამოიყვანა. 26 ავგისტოს ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი 80 უდრის. ჩვენმა მზვერავებმა მიაღწიეს დეფორის ტყეს. ჩვენი პოზიციების წინ მტერმა 1000 მოკლული დასტოვა. მაასის მარცხენა ნაპირზე ორივე მხრით მედგარი ბრძოლაა. ქვეითა ჯარების ბრძოლა არ ყოფილა.

პეტროგრადი. ავგისტოს 30. უმაღლეს მთავარსარდლის ბანაკის ცნობა ჩრდილოეთის ასპარეზზე ჩვენმა მოწინავე ჯარმა მედგარი ბრძოლის შემდეგ პლიაუსტის ტბის სამხრეთით მაღლობი დაიჭირა

ის შერსლენ-სილამუნეის ხაზზე დამკვიდრდა. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა.

დასავლეთის ასპარეზი.

სროლაა სამხრეთ დასავლეთისა და რუმინეთის ასპარეზებიდან ცნობა არ მოსულა.

ბრიტანეთის ბანაკი.

ლონდონი. ავგისტოს 31. ბოულეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლომბარძეიდეს სამხრეთით მტერს იერიში მოუქონდა. მტრის იერიში ზარბაზნით მოვიგერიეთ. მტრის არტილერია ცოცხლად მოქმედობდა ინშატილის მიდამოებსა და იპრის სეკტორში.

ბრიტანეთის საამირბაროს ცნობა

გასულ დღეებში ჩვენი მოდარაჯე ჰიდროპლანები ზვერვის დროს შეეყენ მტრის მფრინავებს. ზზვერავი მფრინავი ტყვედ წამოვიყვანეთ. ჩვენს ჰაეროპლანებს მტრის ცხრა ჰაეროპლანი შეხვდა ხუთი მათგანი ვაიძულეთ დაშვებულიყო. ღამით ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სენდენ-ვესტრ-ვაიტრმდე-აგრეთვე ლოკისა ბრიუგგეს, ტურუს რკინის გზასა და გენტის მიდამოებს. აგვისტოს 29 ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ჰაპალახაენისა და ტუეს ჰაეროდრომებს, აგრეთვე ენგელეში იარაღის საწყობს. ცეცხლი გავაჩინეთ ჩვენი ჰაეროპლანები უვნებლად დაბრუნდენ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი

სამოსწავლო საქმე. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის კომისარები ბ. ბ. იოსებ ოცხელი, სერგო რობაქიძე და სილოვან ხუნდაძე საგუბერნიო აღმ. კომიტეტს შემდეგს აუწყებენ: ქუთაისის სამინისტრო სკოლაში გამგეთ იყო პინჩენკო-რუბანის ქალი. რადგან რევოლუციურმა მთავრობამ მიზან-შეწონილათ დაინახა ადგილობრივ სკოლების გაეროვნულება, იმიტომ კომისარებმა თხოვნით მიმართეს ქართული ენის არ მცოდნე რუბანის ქალს ან სხვა ადგილზე გადასულიყო, ან აეყვანა თანაშემწეთ ქართულის მცოდნე პირი. ამას გარდა კომისარიატი მას წარსულს სამსახურს დიდ მადლობას უძღვნიდა და ირჩევდა საპატიო წევრათ. რუბანის ქალმა კომისარიატს უპასუხა, რომ იგი მსახურებს სამინისტრო სკოლაში, რომელიც ექვემდებარება სახალხო განათლების სამინისტროს, საიდანაც სკოლის გაქართულება შესახებ განკარგულება არ მოსულია და მიტომ არ ვილებ სამოსწავლო კომისარიატის წინადადებას. კომისარიატმა დაადგინა რუბანის ქალი გადაყენებულ იქმნას, რომლის სისრულეში მოყვანას სთხოვს გუბერნიის აღმ. კომიტეტს.

◆ **სამეურნეო სკოლაში** მომხდარ უთანხმოების გამ. კომისარიატმა დაადგინა, მასწ. მიქაბაძე, იობიძე და სკოლის გამგე შარაშიძე გადაყვანილ იქნან.

◆ **სახალხო სკოლების** დირექცია ატყობინებს ქუთ. გუბერნიის აღმ. კომიტეტს, რომ სამოსწავლო საქმეთა კომისარები ბბ. იოსებ ოცხელი, სერგო რობაქიძემ, და სილოვან ხუნდაძემ დღიდან რევოლუციის დაწყებისა აწარმოებენ ქუთაისის გუბერნიის და ბათომ-სოხუმის ოლქის სახალხო სასწავლებლების საქმეებს, ბოლოს დროს კიდევ მათ დაავალეს (დირექტორის) ვიშნევსკის მოვალეობა. ამისათვის საჭიროა ხსენებულ პირთ მიეცესთ შრომის ფასი კავკასიის სამოსწავლო ოლქის სახალხო სკოლების დირექციის თანხიდან.

დირექცია სთხოვს აღმ. კომიტეტს აღძრას ამის შესახებ შუამდგომლობა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე.

◆ **კურსები.** იუსტიციის სამინისტრომ მოაწყო კურსები იმ პირთათვის, რომელთაც სურთ სადმინისტრაციო საქმეების შესწავლა, განსაკუთრებით კი სატუსაღოების დარგში. კურსებზე მიიღებიან საშუალო და უმაღლეს ცოდნით აღჭურვილნი პირნი. უპირატესობა ეძლევათ ჯარისკაცებს. კურსები პროგრამა: საერთოთ გაცნობა სახელმწიფოს კანონმდებლობას კრიმინალური პოლიტიკა და სოციოლოგია, ცნობები პსიხოლოგიიდან დაანტროპოლოგიიდან და სატუსაღოების ადმინისტრატორობა. მსმენელებისთვის კურსები უფასოა. მას და მის მხმენელებს მიეცემათ ხარჯის ფული. ამ კურსებზე ოზურგეთიდან წავიდა იქაური სატუსაღო უფროსი ფხაკაძე.

◆ **შეკითხვა.** წითელ ჯვრის სამხედრო ტყვეთა საქმეების სამმართველო ეკითხება ქუთ. გუბერნის კომისარს, თუ სად სცხოვრობდა ან ვის განკარგულებით დატუსაღეს რუსეთის სამხედრო ტყვეთ ჩათვლილი კაზიმირი.

◆ **ფულის მოთხოვნა** ქ. სენაკის აღმასრულებელი კომიტეტი გუბერნიის კომისარს აუწყებს, რომ საჭიროა სესხი სენაკის მაზრის სარაიონო კომისარიატის მოსამსახურეთა ხარჯებისთვის.

◆ **შეშის რეკვიზიცია** სადგ. წიფაში რეკვიზიციის წესით ჰრელაშვილს ჩამოართვეს 20 ვაგონი შეშა.

◆ **გამხმარ ხილეულობის გაზიდვის შეჩერება.** პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ გამხმარ ხილეულობის გაზიდვა დროებით შეჩერდება.

◆ **ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში** დღეიდან არსდება განყოფილება:

სიმინდის ფქვილის, ჩაის და შაქრისა (ბ. ფალავას გამგებლობით); 2. ტყავეულობის და რკინეულობის (გამგე გრიგოლია); 3. სამანუფაქტურო (გამგე საყვარელიძე); 4. სასტატისტიკო და ფრონტის სურსათით უზრუნველყოფის.

◆ **ფასების დაწესება**. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ქუთ. გუბერნ, სასურსათო კომიტეტს აუწყებს, რომ დღეიდან სამხედრო-სამრეწველოებში დამზადებულ მანუფაქტურაზე სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს მიერ დაწესდება განსაკუთრებული ფასები.

◆ **შეშის შესახებ.** მიწად მოქმედების სამინისტრო გუბერნიის კომისარს აუწყებს, რომ სოფ. ფარცხნალში (შორაპნის მაზრა) მანდაიწყო შეშის დამზადება ქუთაისის ქალაქის და რკინის გზის საჭიროებისთვის. ეს შეშა შედარებით იაფად დაჯდება. სოფ. მარელისის გლეხები არ აძლევენ ნებას მიწადმოქმედების სამმართველოს რომ მათ მამულში შეშა გაატაროს. სამმართველო სთხოვს კომისარს მიიღოს ზომები გლეხებს დასათანხმებლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქუთაისის გუბერნია და რკინის გზა უშეშოთ რჩება.

◆ **შემოწირულება.** ბართლომე მოსეშვილმა საქართველოს საკათალიკოსოს ფონდისთვის შესწირა ექვსი თუმანი.

◆ **კრება**. ენკენისთვის 5-ს დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა სამმართველო მართავს სასწრაფო თათბირს და სთხოვს წევრებს აუცილებლათ დაესწრონ.

◆ **კათალიკოსის არჩევნებისთვის**. ენკენისთვის 6-ს წინასწარი ბჭობა ექნება დასავლეთ საქართველოს, კათალიკოსის არჩევნებში სამონაწილეოთ გასაგზავნ, წარმომადგენლობას. დელეგაცია ენკენისთვის 7-ს საგანგებო მატარებლით გაემგზავრება თბილისს.

◆ **ყრილობა** სახ. მასწ. დელეგატების ყრილობა გაიხსნება სექტემბერის 3 რეალური სასწავლებლის დარბაზში- უფასო ბინაზე ჩაწერა დაიწყება იქვე მელიტონ ჩიჩილაშვილთან სექტემბრის 2-ს საღამოს 6 საათიდან.

◆ **კათოლიკოსის არჩევნების გარშემო**. ოჩემჩირედან კათოლიკოსის არჩევნებში საწარმომადგენლოთ აირჩიეს ბ-ნი თეოფ. ხუსკივაძე.

◆ **30 აგვისტოს, 1917 წ.** მთავარენგელოზის ეზოში მომხდარ დელეგატთა კრებაზე აირჩიეს შემდეგი დეპუტატები ქართველ სამღვდელოების კრებაზე დასასწრებლად; 1. ტიტე მარგველაშვილი, 2. ივანე პურადაშვილი, 3. დეკ. ივლ. აბესაძე, და 4. მთავარ დიაკ. ტარასი დოლონაძე.

◆ **საგუბერნიო სასურს. კომიტეტის საჩივარი.** საგუბერნ. სასურს. კომიტეტი საგუბერნ. აღმ. კომიტეტში ჩივის, რომ მის განკარგულებას არ ემორჩილებიან სხვა სასურსათო კომიტეტები.

◆ **მამულის გაყიდვა**. თფილისის სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ ამ დღეებში საჯარო ვაჭრობით იყიდება ჭიათურის მახლობლათ სიმ. წერეთლის და მარიამ დადიანის სახნავ სათესი და ბაღიანი მამული. მამული დაგირავებულია სულ 20,000 მანეთად.

◆ **ტყავის შესახებ**. ამიერ კავკასიის სამოქალაქო საინტენდანტო ქუთ. გუბერნიის აღმ. კომიტეტს ატყობინებს, რომ ამიერიდან ტყავი გადადის საინტენდანტოს ხელში. ამისათვის ყოველ სასაკლაოზე არსდება განსაკუთრებული კომისიები ტყავის მისაღებათ. ამ კომისიებს უნდა ჩაბარდეს კამეჩის და სხვა ტყავი დაუყონებლივ. ვინც ამ წესს არ შეასრულებს დაისჯება.

პროვინცია.

სოფ. ოწიში (რაჭა). ადგილობრივ ეკლესიის მრევლს ეკლესიის კუთვნილ მამულზე აქვს საკრებულო. ახლა კითხვა აღიძრა, რომ საკრებულო იყიდოს. მცხოვრებთა უმრავლესობა ამის წინააღმდეგია, მაგრამ უმცირესობა მაინც თავისას მოითხოვს, ამის გამო სოფ. ოწიშის საქართ. ავტოკეფალურ ეკლესიის დრ. მმართველობის განყოფილება სთხოვს გუბერნიის„ კომისარს ჩაერიოს საქმეში და მოარიგოს მოდავენი.

ფოთი. აგვისტოს 19 ს ზღვაში გადავარდა და დაიღრჩო ბორის რობერტი. სხვა და სხვა გადასახადები სახაზინო პალატაში უკანასკნელ დროს შემოვიდა 345 მან. ეპკაპ. დ. ხორავოული. აგვისტოს 30-ს საქართ. ერ. დემ. პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ **ილიას** სულის მოსახსენებლით პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდზე სიტყვა წარმოსთქვა ილარიონ ჟღენტმა.

კევორკოვის ფირმა. ამიერ—კავკასიის საგანგებო კომიტეტი აუწყებს ქუთ. გუბერნიის აღმ. კომიტეტს, რომ კევორკოვის ფირმას (ხონში) დაუბრუნდეს წართმეული საქონელი.

ოქმების მოთხოვნა. ჭიათურის აღმასრულებელ კომიტეტი თხოულობს. რომ ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომების დადგენილებათა საერთო მნიშვნელობის ოქმები გაეგზავნოს მას.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ექსცესები.

ქ. კალუგაში აგვისტოს 18-ს დილიდან ხალხი ქუჩაში გამოიშალა და მაღაზიებს მტვრევა დაუწყო, დალეწეს ბევრი სავაჭრო და, შიგ თუ რამე იპოვეს, წაიღეს. სახალხო მილიციამ ბრბო ვერ დააწყნარა. გამოიწვიეს მსროლელთა რაზმი. ბრბო გაიფანტა, არიან დაშავებულებ. პური ქალაქში სულ რამდენიმე დღის საყოფილა აქვთ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ მდგომარეობასთან ვერაფერს აწყობს და იძულებულია გადადგეს.

როგორი მოსავალია?

რუსეთის შიდა გუბერნიებში მოსავალი საშუალოა, ზოგ ადგილას უფრო კარგიც.

თვითგასამართლება.

დონის როსტოვში ხალხმა დაიჭირა წვრილი ვაჭარი, რომელსაც ერთი თოფი ფართალი უპოვა დამალული და სასიკვდილოთ სცემა.

გერმანელები რიგის აღების შემდეგ.

გაზ. ,,ფორვერტსი'' (სოც. დემ.) სწერს: მტრებს ერთხელ კიდევ რაუმტკიცოთ, რომ გერმანეთი სულბერათ და ფიზიკურათ ძლიერია. რიგას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი ცენტრია რუსეთის ბალტიის მხრივ პროვინციებისა და დაემოპირდაპირემ გაიგოს, რომ 114 წ. ლონდონში დადებული ხელშეკრულებამას დაღუპვას უქადის. ,,ბერლინერ ტაგებლეტი''. სწერს: დიდი გამარჯვებაა, იგი ნათელყოფს, რომ გერმანეთის ლაშქარს რკინის ნერვები ჰქონია. მტერს თავზარს დასცემს რიგის დაცემა.

,,ბერლინერ ანცაიგერი'' ამბობს: რიგის დაპყრობის შემდგომ ჩვენ ხელთ გადმოვა მახლობელი სანაპიროები უმთავრეს პუნქტებით.

,,დოიჩე ტაგესცაიტუნგი'' სწერს: რიგის გამარჯვების შემდგომ მოწინაალმდეგენი დაინახავენ, ვის უფრო სჭირია ზავი.''

მშობიარობის შესახებ.

რეიხსტაგის მომავალ სესიაში სხვათა შორის განიხილავენ მშობიარობის გამრავლების კითხვას. აზრათ აქვთ სავალდებულო წესის შემოღება.

ელზას ლორენი.

ბერლინის წრეებში დაჟინებით ამბობენ, რომ ელზას-ლორენი გერმანეთს უნდა დარჩეს და ეს ასეც იქნებაო. სოც. დემოკრატების მოთხოვნილებით ეს კითხვა ყოველ მხრივ განსახილველათ დაისმება რეიხსტაგის მომავალ სესიაში.

პარლამენტარიზაცია.

გერმანეთის სოციალ-დემოკრატებს განზრახული აქვთ რეიხსტაგის სესიაში დადებითად გაატარონ სახელმწიფოს პარლამენტარიზაცია—საარჩევნო უფლების გაორკეცება და წარმომადგენლობის რიცხვის გადიდება.

კვირას 3 ენკენისთვეს დილის 10 საათზე

რეალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდება ეროვნულ—დემოკრატიული მიმართულების მოწაფეთა (განურჩევლად სქესისა)

საზოგადო კრება.

გაირჩევა მორიგი საკითხები. **დასწრება სავალდებულოა. მოწაფეთა პრეზიდიუმი.**

ბრინჯაოს და სპილენძის ძეგლთა რეკვიზიცია.

გერმანეთის იმპერიაში გამოცხადდა საყოველთაო რეკვიზიცია ბრინჯაოს და სპილენძის ძეგლებისა. მათ გამოიყენებენ სამხედრო საჭიროებისათვის. ბავარეთის სამხედრო მინისტრმა უკვე შეაგროვა ასეთი ძეგლები. ძეგლებიდან სწორ-ნამდვილ პირს იღებენ, რათა მომავალში კვლავ აღადგინონ ისინი.

სესხი რუსეთს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთი 275 მილიონი დოლარი ასესხა.

ომის ხარჯები საფრანგეთში.

სამი თვის განმავლობაში ომის ბიუჯეტი უდრის 11, 200, 000, 000 ფრანკს. პარიზის ოფიციოზი აღნიშნავს, რომ ასეთი ხარჯი ჯერ საფრანგეთს არ გაუწევია. ქვეყანას გაღატაკება მოელისო.

კიდევ ომის ხარჯები.

ვენის გაზეთში დასტამბულია წერილი, რომელიც ციფრებით ამტკიცებს, რომ საფრანგეთს ომის გამო (ნივთიერათ) ყველა შებრძოლ სახელმწიფოებზე ნაკლები ზარალი უნახავს. იმ დროს, როდესაც ავსტრია ხარჯავდა 4 მილიარდს, საფრანგეთს სჭირდებოდა მხოლოდ ორნახევარი მილიარდი. გარდა ამისა, ომის დროს საფრანგეთმა გააძლიერა ახალშენების (კოლონიების) ექსპლოატაცია.

სამინისტროს კრიზისის გამო.

ვენის გაზეთები სწერენ: საფრანგეთის სამინისტროს კრიზისი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ ჟამათ საფრანგეთში ყველა მიხვდა, თუ რა ყალბ-უსაფუძვლო პოლიტიკას აწარმოებს პუანკარეს მთავრობა. საფრანგეთი ინგლისის სათამაშო ვაშლია. დღეს გადამწყვეტი მომენტი დადგა. სხვის ხელში ვერაგობის მანქანათ ქვეყნის საფრთხე მოელის. ამის გამო ბევრი სცდილობს, რომ განსაცდელს ბოლო მოეღოს. მაგრამ რა გზით? სამინისტროს შედგენას და მაღალ პასუხის მგებლობას დღეს ძნელათ თუ ვინმე იკისრებს.

რადიკალ-სოციალისტების მოთხოვნილება.

შექმნილ მდგომარეობის -სამინისტროს კრიზისის გამო რადიკალ-სოციალისტები მოითხოვენ რესპუბლიკის საერთო ბჭობის გამართვას.

გაზეთების აზრი.

„ფიგარო“ სწერს: სამინისტროდან ბევრი გადის. ვივიანს მმართველობაში მონაწილეობაზე უარი განუცხადებია. ეს კი დიდი კრიზისის განმამზადებელიაო. „პტი ჟურნალი:“ კრიზისის საჩქაროთ დამთავრების იმედი არ არის, რადგან მას მეტად ღრმა მიზეზი აქვს.

გენერალ გუბერნატორობის აღდგენა.

პეტრეს ქალაქში აღადგინეს გაუქმებული გენერალ-გუბერნატორობა.

პურის მონოპოლია.

ამჟამათ მიწადმოქმედების და სასურსათო სამინისტროში არჩევენ კითხვას მთელ სახელმწიფოში პურის მონოპოლიის გამოცხადების შესახებ, ეს წესი პირველათ გამოცხადდება შიდა გუბერნიებში და შემდგომ გავრცელდება განაპირა ქვეყნებში.

უწესოება რკინის გზაზე

ფრონტის მახლობელ რკინის გზებზე ენით მოუთხრობელი უწესოება ხდება. დეზერტირები ყველგან დაძრწიან და ხალხს ძარცვავენ ქალის მგზავრობა ყოვლად შეუძლებელია.

ვოლგის სადგურებზე დიდძალი პურია.

,,რუსკ. სლოვო'' იუწყება, რომ მდინარე ვოლგის სადგურებზე დიდძალი პურია, მაგრამ მისი გადმოზიდვა შეუძლებელი გახდა, რადგან მუშები არ არის.

100,000 მანეთის გატანა.

მოსკოვის სავაჭრო ბანკიდან ყალბი ორდერით გაუტანიათ 100,000 მან. ფული.

სათბობის კრიზისი.

სატახტო ქალაქები დიდ განსაცდელში არიან სათბობის კრიზისის გამო. სათბობს არც საბარათო სისტემამ უშველა და არც მონოპოლიის გამოცხადებამ; შეშის შეზიდვა სრულებით მოისპო. საქმეების გასაკეთებლათ კარგა ხანია ნავთს ხმარობენ, მაგრამ აღარც ის იშოვება.

ბერმონაზონთა კრების გამო.

(იხ. გაზ“ საქართველო № 191)

სექტემბრის 3 ქ. თბილისში მოხდება ბერმონაზონთა კრება საქართველოს ყველა მონასტრებისა, რომელიც განიხილავს შემდეგ საკითხებს.

1. მიზანი და დანიშნულება საქართველოს მონასტრების და ბერმონაზვნებისა ჩვენს დროში;

2. საშუალებნი დღევანდელ მონასტრებისა და ბერმონაზნურ ცხოვრების აღდგენა და განახლებისათვის.

3. დისციპლინის აღდგენა მონასტრებში და სამონასტრო წესდება.

4. სამონასტრო მართვა-გამგეობა და სხვა.

ეს კრება რომ დროული და საჭიროა, ამაზედ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვინაიდგან ამ კრებამ დასაბუთებული დადგენილებანი უნდა წარუდგინოს 8 სექტემბრის სრულიად საქართველოს მომავალ საეკლესიო კრებას დადგენილებათა დადასასტურებლათ. მე მინდა მხოლოდ განსახილველ საკითხთაშორის შევიტანო საკითხი მონასტრებში სამეურნეო დარგის შემოღების შესახებ, რასაც ამ თავითვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. აუცილებლათ ბერმონაზვნებს უნდა მოეთხოვოს, მეურეობას მეტად დიდი ყურადღება მიაქციონ და, სადაც კი შესაძლებელ და მოსახერხებელ იქმნას, მეურნეობას ფართეთ მოჰკიდონ ხელი. უნდა ეცადონ მონასტრების თავისუფალ ადგილებში გააკეთონ ბაღბოსტნები, გააკეთონ გაუმჯობესებული ჯიშის ხეხილის სანერგე სანამყენეები, თუთის სანერგეები სანერგეები სამკურნალო ბალახ-მცენარეთა; მიაქციონ დიდი ყურადღება სამონასტრო ტყეების მოვლა-მოშენებას; ხელი მიჰყონ მეფუტკრეობას, გაუმჯობესებულ შინაურფრინველთა მოვლა-მოშენებას და სხვათა მსგავსთა ამისათა და მერე ზოგი მუქთათ და ზოგი დაკლებულ ფასებში მიაწოდონ ქართველ ხალხს სხ და ასე და ამნაირათ ჩვენმა ბერმონზვნება უპირველეს ყოვლისა თავიანთ-თავს უნდა გაუჩინონ მეურნეობის ხელის მოკიდებით არსებობის წყარო, რომ მუდამ შიმშილ-წყურვილზედ არ წუწუნობდენ და ჩვენს მშრომელ ხალხსაც წასაბაძ მაგალით თავ ერთათ მისცენ საშუალება მეურნეობის დარგების იოლათ განვითარებისა, რაიცა ამ ჟამად მეტად გულმომწყვეტელ მდგომარეობაში იმყოფება.

დროა ქართველ ბერ-მონაზნებმა წაბაძონ ევროპის განათლებულ სახელმწიფოთა თავიანთ თანა ძმებს, რომელთაც დიდი და მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვისთ თავიანთ ერების ეკონომიურ აღორძინებაში მეურნეობის ხელის მოკიდებით და ხალხში მისი გავრცელებით.

მღვდ. ვლა. მაჭარაშვილი.

სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.

ჩვენ, ქართველები, გრძნობის ხალხი ვართ, შრომის უნარს მოკლებული. საკმაოა მცირედი შემთხვევა ჩვენს ცხოვრებაში, რომ დაუსრულებელ სიტყვების რახარუხმა ლამის ყურთა-სმენა დაგვიხშოს. საქმე კი მხოლოდ მაშინ მოგვაგონდება, როდესაც მდგომარეობა სიმწვავეს გვაგრძნობინებს. დიახ, პირველი აღტაცება ამა თუ იმ შემთხვევით გამოწვეული უსაქმოდ თავდება.

მიმდინარე წლის მარტის ბოლო რიცხვებში დასავლეთ-საქართველოს სახალხო მასწავლებელთა საზოგადო ყრილობაზე ერთხმათ აღიარებულ იქმნა სახალხო სკოლების გაქართულება (ნაციონალიზაცია). რამდენად ეს მოვლენა სიხარულით ავსებს ჩვენს გულს, ამაზედ ეხლა საუბარი ზედმეტია, ვინაიდან არა მგონია მთელს საქართველოში ას-ჩვიდმეტი წლის მონობას ისე დაეხშოს, დაებნელებიოს ქართველის ჭკუა-გონება, რომ ეროვნული სკოლა დაჰგმოს.

ქართული სკოლის სწორე გზაზედ დასაყენებლად საჭირო იყო თვით ამ სკო-

ლების მასწავლებელთა მხრივ ქართული ენის რიგიანი ცოდნა. საჭიროა გავიხსენოთ, რომ საზოგადოდ ჩვენს სასწავლებლებში და კერძოდ იმ სკოლებში, საიდანაც სახალხო მასწავლებლებათ გამოდიოდენ, მოსაწავლეები თითქმის სრულიად ვერ იძენდენ ცოდნას თავის სამშობლო ენისას. ცხადია, რომ ძველი, რუსიფიკაციის მონობისაგან თავისუფალ სახალხო მასწავლებელს ეროვნულ სკოლაში მეტად გაუჭირდება შესაფერი მუშაობა.

აი სწორედ ეს მოვლენა ჰქონდათ მხედველობაში ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს, როდესაც საზაფხულო კურსების დაარსების აუცილებლობაზე მიგვითითებდნენ. საზაფხულო კურსების დაარსების სურვილი გამოითქვა ამ სამი თვის წინად, მაგრამ დღემდე კი ასეთს ვერაფერს ვხედავთ. სწავლის დაწყების დრო კი მოახლოებულია. აი ეს სექტემბრის ოცი, ოცდა ხუთიოდ დღე და პირველ ოქტომბრამდის თვითეული მასწავლებელი თავის მოვალეობის აღსრულებას უნდა შეუდგეს (თუმცა სწავლა პირველი ეკენისთვიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო პირველ მწიფობისთვემდე გადაიდო). საჭიროა, სანამ მცირეოდენი დრო კიდევ დაგვრჩენია, მიღებულ იქმნას ზომები და დაუყოვნებლივ დაარსდეს, მცირე ხნით მაინც, სახ. მასწ. კურსები, რომ სწავლის დაწყებამდის სმცაოდინო გეგმის შემუშავება მაინც მოვასწროთ.

კვირას, 3 ეკენისთვეს ქ. ქუთაისში დანიშნულია დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. ვიმედოვნებთ, რომ დელეგატთა ყრილობა უყურადღებოდ არ დასტოვებს და შესაფერ მსჯელობას იქონიებს ქ. ქუთაისში კურსების მოწყობის შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ სახალხო მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა ეხლავე არ იქმნა გაუმჯობესებული, სახალხო სკოლებში სწავლა-განათლება ვერ მოიპოვებს მკვიდრ ნიადაგს. ვინაიდან „მეტად ძნელია მშიერი კუჭით მუშაობა“.

იმედია დელეგატთა ყრილობა არც ამას ჩაატარებს უყურადღებოდ.

იონა სახინოელი.

ბიბლიოგრაფია.

ტ. მარგველაშვილი. ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშვალებანი.

ეხლახან გამოვიდა ბ. ტიტე მარგველაშვილის შრომა ,,ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშვალებანი.'' პატივცემული ავტორი თავის შრომას უძღვნის ,,ქართველ კომერსანტებსა და ეკონომისტებს.'' არ ვიცი, რამდენ ქართველმა განითავისუფლა თავი დღევანდელ რევოლუციაში მოარულ უდღეურ იდიეებისაგან და საღი პრაქტიციზმით განმსჭვალა დღემდისაც კაბინეტრულად განწყობილი აზროვნება, მაგრამ ამ წიგნაკში გამოთქმული აზრები რომ დიდხანს ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას ამაში წინასწარ დარწმუნებული ვართ. ერის სულიერსა და ნივთიერ ცხოვრების ლოღიკურ შეურიგებლობას მივყავართ ამ უიმედო დასკვნამდე. აბა სად უფიქრიათ ქონების დაყოფაზე იმდენი რამდენიც საქართველოში, სად შეცდილან ეკონომიურ ცხოვრების დაქსაქსვაზე იმდენს, რამდენსაც ჩვენში, და ან სად დაქვეითებულია სოციალისტური მოძრაობა ისე, როგორც ქართულს აზროვნებაში?

ბ. ტიტე მარგველაშვილის წიგნაკი ერთგვარი ცდაა ქართულ ლიტერატურაში განმტკიცებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ აზროვნების მესაცვლელად. ინიციატივა, აქტივიზმი, მიმჭირნეობა და დაზოგვა,—აი ის ცხოველი პრინციპები, რომელიც ჰქმნიან ერის ეკონომიურ ორგანიზმს. ყოველივე ეს ქართველი მწარმოებლებისათვის მაინც და—მაინც უცნობი არ ყოფილა,—როგორც ავტორი გადმოგვცემს,—მაგრამ ამ სულიერ თვისებებისათვის ფართე ასპარეზი ვერ მიუწოდებია სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ,,მთავრობის მოხელენი საუბედუროთ ჩვენს მეურნეობას კუდში მისდევენ და არა წინ უძღვებიან''-ამბობს ავტორი ძველი მთავრობის საქმიანობაზე. ძველი რუსეთი უნიათობა ეკონომიური ცხოვრების დარგში აშკარა იყო, მაგრამ უნიათობას და საკუთარ უმოქმედობას იგი იმითაც ართულებდა, რომ თვითონვე ჰქმნიდა ხელშემშლელ პირობებს ნივთიერ დოვლათის დაგროვების საქმეში: მოქალაქეთა ავლადიდებისათვის სრულიად შეუფერებელ გადასახადების გაწერა, უცხოელთა ბაზრისა და კაპიტალის მეტი უპირატესობით აღჭურვა ადგილობრივის წინაშე,—ყოველივე ესა და მრავალი სხვა დაბრკოლებანი უფრო საგრძნობი იყო მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკაში ვიდრე მისი შემთხვევით ზრუნვა სახელმწიფოს წინ-წასაწევად. ძველი რუსეთი ბევრს ფიქრობდა სახელმწიფო ფინანსების გადიდებაზე და ძალიან ხშირად ამ ფინანსების შემომქმედ მიზეზების საწინააღმდეგოთ მოქმედებდა.

ავტორი ქართველი ერის სიმდიდრის სამ უმთავრეს დარგს აქცევს ყურადღებას: სასოფლო მეურნეობას, ბანკებსა და ვაჭრობა-მრეწველობას. განსაკუთრებით პირველი დარგი სჭარბობს ქართულს ეკონომიკაში თავისი ინტენსივობითა და ბუნებრივი მდგომარეობით: აბრეშუმი, თამბაქო, ღვინო, ბამბა, დაფნა, სიმინდი და სხვა შეადგენს უმთავრეს ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელ ეკონომიურ ფაქტორებს. კლიმატიურ პირობების სიკარგესა და მწარმოებელთა შრომის უნარო ნაყოფიერებას უკარგავს პრიმიტიული საწარმაოო იარაღები, სპეციალისტებისა და მცოდნე პირების უყოლობა. ბანკებისა და ვაჭრობა-მრეწველობის საქმეც ასეთს მდგომარეობაშია. ფულის ოპერაციას ბანკების შემწეობით მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ამისთვის ეკონომიური ცხოვრების ობიექტიური პირობები შემზადდება. ბანკი ერთგვარი რეგულიატორის ნივთიერ სიმდიდრის აღმოჩენის, დამუშავებისა და მონაწილეობის საქმეში. არ ითქმის, ამ მხრივ ჩვენში არაფერი გაკეთებულაო. ამიერ-კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის წარმოშობა უკვე ბევრს რასმე ნიშნავს, მაგრამ ქართული ნორჩი კაპიტალი რომელიმე წურბელა ჩარჩის ოინებისაგან დაზღვეული მაინც არ არის. ჩვენი ნაწარმოებისათვის საკუთარი ბაზარი საკუთარ ქვეყანაშიც კი ვერ შევქენით; უცხოეთის ბაზარში ჩვენი ნაწარმოების ბედის გათვალისწინება არ გვეხერხება. ამ ზოგადი დეფექტების გათვალისწინების შემდეგ ავტორი მიგვითითებს ზოგიერთ საყურადღებო საშუალებებზე, როგორიცაა მაგალითად „დაარსება ამხანაგობათა, მცირე რიცხოვან საზოგადოებათა საკუთარი, საკმარისი თანხით მიჩნეული სამრეწველო ქარხნის გახსნისათვის და დახმარება ბანკებისა შესაფერ პირობებში.“ ასეთის ხასიათისაა ბ. ტიტე მარგველაშვილის შრომა და ჩვენ მაინც გვაინტერესებს ის კითხვა, თუ რამდენი ქართველი კომერსანტი და ეკონომისტი ფიქრობს ამ საბედისწერო საკითხზე. წიგნაკი შეიცავს 52 გვერდს და ღირს მანეთად.

მოწერილი ამბები

დ. ქობულეთი.

აგვისტოს 25-ს გაიმართა მიტინგი დ. ქობულეთში. მოწვეული იყო ახლო მდებარე სოფლებიდან ქობულეთელი მაჰმადიანი ქართველები. მიტინგს დაესწრო 500—600-მდე ქალი და კაცი. ადგილობრივმა კომისარმა კრების დასაწყისს განაცხადა: სოფლებში დადიან სხვადასხვა პარტიის სახელით ვიღაცები და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ილაშქრებენო. გაუგებრობა რომ გაიფანტოს, ამიტომ მოვიწვიეთ სოფლებიდან ხალხი, რათა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს თავ-თავისი პროგრამები აეხსნა მისთვისო. ბოლოს დამსწრეთ სთხოვა ამოერჩიათ კრების თავმჯდომარე. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ზია-ეფენდი ხარაზი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა მცხოვრებმა საზოგადოებაში პატივცემულმა ნური-ეფენდი ჩიჯავაძემ. წყნარის, დარბაისლურის, ტკბილი საუბრის კილოთი აუხსნა კრებას სამაჰმადიანო საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია. მოიყვანა მრავალი მაგალითი წარსული ომიდან, რომელსაც პატივცემული ნური ეფენდიც შესწრებია და დამსწრე საზოგადოებაშიც იყო მრავალი, რომელნიც ნური-ეფენდის სიტყვებს ადასტურებდენ. პატივცემულმა ნური-ეფენდიმ მოაგონა დამსწრეთ სამაჰმადიანო საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ამ კუთხის მცხოვრებთა მდგომარეობა, როდესაც ამ მხარის საუკეთესო შვილების უმეტესობა ოსმალეთს სახლდებოდა და მის კერას, სამშობლოს სხეულს სამუდამოთ სწყდებოდა. ასეთი მისწრაფებით შეპყრობილი იყო ამ მხარის უმეტესობა და მთელს მხარეს დაცარიელება მოელოდა. ამას ყურადღება მიაქცია დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და ხალხს დაპირდა, რომ მათი სარწმუნოება, ადათი, ზნე ჩვეულება ხელ-უხლებელი იქნება დაცული. აგრეთვე დაცული და ხელ-უხლებელი იქნება თქვენი მიწით მფლობელობის წესიო. აქ ნური ეფენდიმ განუმარტა საზოგადოებას, რომ ყველანი თავიდანვე მიწის მესაკუთრენი ყოფილან, ოსმალეთის ქვეშევრდომობის დროს მესაკუთრეობის სიმტკიცისათვის შემოუღიათ თაფი ანუ ნასყიდობის თუ მემკვიდრეობის მოწმობა (კუპჩა) და თაფი ყველა მათგანს ქონდა. (ყოველის მხრიდან დამსწრე მოხუცებულებმა ამ სიტყვებს დასტური დასცეს.) ეს ყველაფერი უცვლელად უნდა დარჩენილიყო მიხეილ ნიკოლოზის ძის დაპირებისამებრ. მაგრამ დაპირება დაპირებათ დარჩა და ჩვენ არ გვქონდა უფლება არც ყიდვის არც გაყიდვისო. რომ იკითხავდი რატომაო?—პასუხი იყო „ტუზემცი ხარ“-ო. პირში ენა ამოგვგლიჯეს. გასაყიდს რასმე გამოვიტანდით, მათრახით თავზე დაგვადგებოდენ და ჩალის ფასათ ჩამოგვართმევდენ. ვერაფერზე ვიტყოდით ეს ჩემიაო. შეურაცხყოფილი იყო ჩვენი სარწმუნოება, შებღალული ჩვენი ადათი, ზნე ჩვეულება, შელახული ჩვენი თავმოყვარეობა. ამ ტანჯვის დროს ყველა ერთი ვიყავით, ძმურათ ვცხოვრობდით. დღეს თავისუფლების ხანაშიც ერთნი უნდა ვიყოთ. ცალკე მოვიყაროთ მაჰმადიანებმა თავი მოვილაპარაკოთ შინაურულათ და გავიგოთ ვინ იცავს ჩვენს სჯულს, ადათსა და ზნე-ჩვეულებას, ხასიათს, ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს საკუთრებას. იმათ ამოუდგეთ გვერდში და მათთან ერთად ვიყოთ ყველა ძმურათაო. ნური-ეფენდის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე და ყოველი მაჰმადიანი მის სიტყვებს მხურვალე თანაგრძნობით შეხვდა. შემდეგ სიტყვა ითხოვა ლოლობერიძემ (ს. ფედ.). ლოლობერიძე შეეცადა სოც.-ფედერალისტების პროგრამის ნათელსაყოფად გაერჩია მარქსის მოძღვრება, დაემტკიცებია, რომ სოციალიზმის დასამყარებლათ სრულებით არ არის საჭირო პროლეტარიზაცია-კონცენტრაცია. გზადაგზა შეეცადა საზოგადოებისათვის გაეცნო საქართველოში პარტიების წარმოშობის ისტორია და სხვათა შორის სთქვა, რომ პირველ ხანებში სოც.-ფედერალისტები სოციალ დემოკრატებთან ერთად იყვენ (?), მაგრამ ეროვნული საკითხის გარშემო ატეხილ უთანხმოების გამო მათ ჩამოშორდენ და ცალკე ს.-ფედერალისტური პარტია დააარსესო (?). პირველ ხანებში ს.-ფედერალისტებთან იყვენ არა სოციალისტებიც, რომლებსაც მათი მარტო ეროვნული პროგრამა იზიდავდაო. ახლა ეს არა სოციალისტური ელემენტები ჩამოგვშორდენო. შემდეგ ახსნა მიწის სოციალიზაცია, უნდოდა ვრცლათ შეხებოდა რუსეთის მომავალ წესწყობილებას ს.-ფედერალისტურის თვალსაზრისით, მაგრამ სიტყვა ძლიერ გაუგრძელდა, ამასთანავე ხშირათ იმეორებდა ერთხელვე ნათქვამს, ხალხს მოსწყინდა მისი სმენა და მოსთხოვა, რომ სიტყვა მოკლეთ მოეჭრა, თუმცა წინათაც აძლევდენ შენიშვნას: „მოკლეთ მოსჭერი ძიავ“, „თუთხმეტ ვერსზე უნდა წავიდე, ბნელში წავიდე შინ?“ და სხვა. იძულებული იყო სიტყვა შეეწყვიტა მალე და ამიტომ პირდაპირ მოითხოვა რუსეთისათვის ფედერატიული რესპუბლიკა. შემდეგი სიტყვა აღებული ქონდა ე. პატარიძეს (ერ. დემ.). ე. პატარიძემ მოკლეთ, სხარტულათ და ნათლად გააცნო კრებას საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ეროვნული პროგრამა. ახსნა და განმარტა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მნიშვნელობა და სიტყვა მაშინვე დაათავა. სიტყვას განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები აღფრთოვანებით მიეგებენ და მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვეს ორატორი. სხვათა შორის პატარიძემ თავიდანვე განაცხადა, რომ მიუხედავათ იმისა, რომ კრების მომწვევთ სურვილი ჰქონიათ ყველა პოლიტ. პარტ. წარმომადგენლები დასწრებოდენ მიტინგს ამისათვის მათ არავითარი ზომა არ მიუღიათ და არც ერთი პოლიტიკური პარტია წინდაწინვე არ გაუფრთხილებიათო. მაგალითად, ჩვენ შემთხვევით დავესწარით ამ კრებას და არც არაფერი ვიცოდით ნახევარი საათის წინადო. შემდეგ ილაპარაკა სოც.-დემოკრატმა ქარცივაძემ ადგილობრივმა კომისარმა. სიტყვა ასე დაიწყო: ,,მე გელაპარაკებით როგორც კომისარი კი არა, როგორც სოციალ-დემოკრატი''-ო. შემდეგ დაარღვია სოც.-ფედერალისტის ნათქვამი სოც. დემოკრატების შესახებ და სთქვა, რომ სოც. ფედერალისტები როცა ამბობენ პროლეტარიზაცია-კონცენტრაციაზე ამას სადემაგოგიოთ ამბობდენო და თქმულსაც დემაგოგი უწოდა. ს. დ-ებს კი არ უნდა ხალხის გაპროლეტარება, არამედ ეს ასე თავისთავად ხდებაო. შემდეგ შეეხო მოკლედ ეროვნულს საკითხს და სხვათაშორის სთქვა ამხანაგი ეროვნულ დემოკრატი ამ საკითხს საკმაო მჭერმეტ. ყველაფრად შეეხო, რაშიაც სავსებით ვეთანხმებით და ამაზე ახლა არას ვიტყვიო. შემდეგ განმარტა მუნიციპალიზაცია. ქარცივაძე შესცვალა სოც.-ფედერალისტმა ლოლობერიძემ, რომლის შემდეგ ილაპარაკა კვლავ ნური ეფენდი ჩიჯავაძემ. ნური ეფენდი ჩიჯავაძემ განაცხადა: თქვენ ხედავთ, რომ ყველანი ლაპარაკობენ მთელი ქვეყნის მოწყობაზე და მის გარდაქმნაზე. ზოგი ჰაერს ჩამოკიდებია და ზოგიც ზღვაში დაცურავსო. ჩვენ იმათ უნდა გავყვეთ, ვინც, დღეს ჩვენს ცხოვრებას რომ შეეფერება, ისეთს რასმე გვეუბნებაო. ნური ეფენდის შემდეგ ილაპარაკა ცინციბაძემ, რომელმაც საზოგადოებას მოუწოდა ახალი მთავრობისთვის მხარი დაეჭირათ და რევოლუცია გაეღრმავებიათ. დემაგოგიური გამოსვლა იყო გადელიასი, რომელიც ამბობდა, ვითომც მთელი რუსის ჯარი სოც. დემოკრატები იყვენ და ყველა აქ დამსწრეებიც სოც. დემოკრატები უნდა იყოთო. მას საზოგადოებიდან მაშინვე შენიშნეს რომ ეს მტკნარი სიცრუეა და მიუთითეს, რომ სხვა პარტიის მიმდევარნიც არიან ჯარში, მაგ. ს. რევოლუციონერებიო. იქვე გამოჩნდენ ჯარისკაცები რომელთაც შენიშვნა მაშინვე დაადასტურეს. საზოგადოება უკვე დაიღალა და წასვლას აპირებდა. ამ დროს სალაპარაკოთ ავიდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი ლ. დგებუაძე, რომელმაც მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ მას ასე გვიან შეხვდა სიტყვა, როცა კრების უმეტესობა დაღლილია და ბევრი წავიდა კიდეც თანამოაზრე ამხანაგი პატარიძე არ შეხებია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის იმ მუხლს. სახელდობრ მიწის კითხვას. რომლის გარშემო ამდენი ილაპაკეს სხვა პარტიების წარმომადგენლება და თქვენც გაინტერესებთ ეს კითხვა, როგორც მეურნეთ, მიწის მუშებს. ჩემმა ამხანაგმა ეს მუხლი მე დამიტოვა განსამარტავად და მხოლოდ ამ კითხვის გარშემო ვილაპარაკებო. როგორც ნახეთ გაიგონეთ გამოვიდენ ორი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები და გითხრეს, რომ მათი საბოლოო მიზანი სოციალიზმია ე. ი როცა ყოველ გვარი საწარმოო იარაღი, როგორიცაა მაგ. მიწა, ფაბრიკა, ქარხანა უნდა გადავიდეს საზოგადოების ხელში. საზოგადოების ხელში იქნება შრომისა და შრომის ნაყოფის განაწილება. ჩვენ არა ვართ სოციალისტები და ვამბობთ, რომ ქვეყნად სამოთხის დამყარება შეუძლებელია და საწარმოო იარაღების საზოგადოების ხელში გადასვლა ქვეყნის წინსვლის, განვითარების შემაჩერებელი და უარმყოფელია. კერძოთ ქართველი ხალხი უხსოვარ დროიდან შეთვისებია და შესისხლხორცებია კერძო საკუთრებას, მისი არსებობა უმისოთ შეუძლებელია და ეს რომ ასეა ამისი მაგალითებია ის, რომ ყოველი ქართველის სახლ-კარი, ბაღ-ვენახი, ეზო, საყანე ღრმა თხრილითაა გარშემორებული, კაცის სიმაღლე ღობით გარშემოვლილი და ეკალ-მაყვალით დასხლტული. ამას გარდა, ვიცით მრავალი მაგალითი საკუთრების გარშემო ატეხილ დავა-საჩივრებისა და სხვა. ამიტომ ის ადგილ-მამული ხაზინას, მეფის გვარეულობას, ეკკლესია-მონასტრებს. რომ ჩამოერთმევა, უნდა გადაეცეს მიწის მუშებს სრულს საკუთრებათ და უფასოთ ხოლო დიდი მამულები კერძო მეპატრონეთა უნდა ჩამოერთვას ფასით და ხალხმა გაანაწილოს იმ წესით და იმ ზომით, რომელიც მისთვის საუკეთესო იქნება და სხვა. ამას მოითხოვს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მხოლოდ ეს საკითხი, როგორც თქვენ გსურთ, ისე რომ გადაწყდეს, საჭიროა, საქართველოს ეროვნულ ტერიტორიული ავტონომია. დასაშლელათ გამზადებული ხალხი თანდათან შემოკრბა მოლაპარაკის ირგვლივ და სიტყვის დათავებისას მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ის. აქა იქ ისმოდა „გაუმარჯოს ეროვნულ პარტიას“-ო. სალაპარაკოთ ავიდა შემდეგი რიგით ზ. ჩიხლაძე, მაგრამ წამოვიდა ძლიერი წვიმა და სიტყვა ვერ დაათავა. მეხუთე საათი იყო ხალხი რომ დაიშალა.

ლას. დონ.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 47	წ.
„	— საღამ. —	8 ს. 49	„
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 55	„
„	— ღამის —	11 ს. 42	„
„	— დილის —	10 ს. 20	„
ფოთიდან	— დილის —	8 ს. 17	„
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს.	„
	დილის —	9 ს. 10	„
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25	„
„	— ღამის —	10 ს. 20	„
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 1	„
„	— დღით —	1 ს. 40	„
„	— დილის —	6 ს. 20	„
ფოთისაკენ	— დღისით —	3 ს. 18	წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	7 ს. 57	„
	— დღით —	2 ს. 37	„
ხაშურისაკენ	— დღით —	4 ს. 40	„

ა. მ. ასათიანი ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3
ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ექიმები

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში უსხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$ – 2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.
ტელეფონი № 135.

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში